

ხარ ტურფა

ხარ ტურფა საკრავი, საზეზიანო!
მიჯნურისა მკვლელი, ხაზეზიანო,
აღვის ხევ გასულო, ვაზეზიანო,
დაუშრელი ზღვა ხარ, მაზეზიანო,
ოქროს თვალში ზიხარ, რაზეზიანო!

ნადირში ნაქებო რაშო, ჯეირანო!
ვარსკვლავსავით ბრწყინავ ლალო, მარჯანო,
უსანთლოდ ანათებ, ბროლის შამდანო,
ხმალი ხელთ გიჭირავს, ერეკლე-ხანო!
ფეჰლის ფანჯის ოინბაზეზიანო!

ანათებ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ!...
ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ,
შტოები ასული, რა ტურფა ხე ხარ,
ტრიალი მინდორი, რა შავი ტყე ხარ,
შიგ ნადირი სავსე ბაზეზიანო!...

გაზაფხულის ია ამოსული ხარ!
ასლი საყვარელი თაიგული ხარ...
ერთგული მოსამსახურე, ყული ხარ,
საიათნოვავ! რა ყარიბ ბულბული ხარ!
დილ-დილით ჭიკჭიკებ, ნაზეზიანო!